

**საქართველოს კანონი  
„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში  
ცვლილებების შეგანის შესახებ**

მუხლი 1. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994, '21-22, მუხ. 455) შეგანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-4, მე-5, 5<sup>1</sup>, 5<sup>2</sup>, 5<sup>3</sup>, 5<sup>4</sup>, 5<sup>5</sup>, 5<sup>6</sup> და 5<sup>7</sup> მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. საწარმოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია

4.1. საწარმოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციას ახდენს რეგისტრაციაზე უფლებამოსილი საგადასახადო ორგანო საწარმოს ადგილსამყოფელის მიხედვით.

4.2. საწარმოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია ხორციელდება სამეწარმეო რეესტრში სათანადო ჩანაწერებით, საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებით, სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობის (აღმინისტრაციული აქტის) გაცემის საფუძველზე.

4.3. სამეწარმეო რეესტრის ფორმულარი მოცემულია ამ კანონის დანართში.

4.4. სამეწარმეო რეესტრში შეგანილი მონაცემები საჯაროა. ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს სამეწარმეო რეესტრის მონაცემებს და მიიღოს რეესტრის ამონაწერები.

4.5. ერთიან სამეწარმეო რეესტრს აწარმოებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი.

4.6. საწარმოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციაზე უფლებამოსილი საგადასახადო ორგანოები, სამეწარმეო რეესტრის წარმოების პირობები და სამეწარმეო და საგადასახადო რეგისტრაციის (აღრიცხვის) განცხადების, მოწმობის ფორმები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

4.7. სამეწარმეო რეესტრის მონაცემებს საგადასახადო ორგანო აქვეყნებს ოფიციალურ ბეჭდით ორგანოში, ხოლო სამეწარმეო რეესტრის ასლს უზგავენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – სტატისტიკის დეპარტამენტს თვეში ერთხელ, არა უგვიანეს მომდევნო თვის 5 რიცხვისა. სააქციო საზოგადოების სამეწარმეო რეესტრის ასლს საგადასახადო ორგანო იმავე ვადაში უზგავენს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიას.

4.8. საწარმოსათვის გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭება ხორციელდება საგადასახადო კანონმდებლობის დადგენილი წესით.

მუხლი 5. საწარმოს (ინდივიდუალური საწარმოს გარდა) სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის პირობები

5.1. საწარმოს (ინდივიდუალური საწარმოს გარდა) სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია ხდება ამ მუხლით გათვალისწინებული განცხადების და დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე.

5.2. განცხადება შეიგანება რეგისტრაციაზე უფლებამოსილი საგადასახადო ორგანოში საზოგადოების ადგილსამყოფელის მიხედვით.

5.3. განცხადება უნდა შეიცავდეს:

5.3.1. ყველა საწარმოსათვის:

ა) საფირმო სახელწოდებას (ფირმას);

ბ) ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას;

გ) ადგილსამყოფელს (იურიდიულ მისამართს);

დ) ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის სახელს, გვარს, დაბადების თარიღს და ადგილს, საცხოვრებელ ადგილს; თუ დამფუძნებელი იურიდიული პირია – მის საფირმო სახელწოდებას და რეგისტრაციის მონაცემებს (იურიდიული მისამართი, იმ ორგანოს

დასახელება, რომელმაც რეგისტრაციაში გააგარა იურიდიული პირი, რეგისტრაციის თარიღი და ნომერი, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, მისი წარმომადგენლის მონაცემები);

ე) წარმომადგენლობის უფლებამოსილება.

5.3.2. კომანდიტური საზოგადოებისათვის, ამ კანონის მე-5 მუხლის 5.3.1 პუნქტში მოცემულის გარდა, დამატებით საჭიროა მიეთითოს ყოველი კომანდიტის შესაგანის ოდენობა და წარმოდგენილი იქნეს საბუთი ფაქტობრივად განხორციელებული შენაგანის შესახებ.

5.3.3. შემლუღული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივისათვის, ამ კანონის მე-5 მუხლის 5.3.1 პუნქტში მოცემულის გარდა, დამატებით საჭიროა მიეთითოს:

ა) საწესდებო კაპიტალის ოდენობა და საბუთი შესრულებული შენაგანის შესახებ;

ბ) ყოველი ღირებულების სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, საცხოვრებელი ადგილი, მოქალაქეობის პირადობის მოწმობის ნომერი, პირადი ნომერი.

5.4. განცხადებას სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის შესახებ ხელს აწერს ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების პირი.

5.4<sup>1</sup> შემლუღული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში წილის გირავნობის სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი უნდა იქნეს:

ა) დამგირავებლისა და მოგირავნის მიერ შედგენილი განცხადება;

ბ) სანოტარო წესით დამოწმებული წილის გირავნობის ხელშეკრულება;

გ) საზოგადოების ან პარტნიორთა თანხმობა, თუ ეს გათვალისწინებულია საზოგადოების წესდებით.

5.5. განცხადებას თან ერთვის შემდეგი დოკუმენტები:

ა) საზოგადოების წესდება (2 ეგზემპლარი);

ბ) არაფულადი შესაგანით დაფუძნებისას – შესაგანის შეფასების დამადასტურებელი საბუთი;

გ) შემლუღული პასუხისმგებლობისა და სააქციო საზოგადოებებისათვის დოკუმენტები ღირებულების დანიშვნის შესახებ.

დ) სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

5.6. პირები, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ საზოგადოება, ვალდებული არიან წარადგინონ ხელმოწერის ის ნიმუში, რომელსაც საქმიან ურთიერთობებში გამოიყენებენ.

5.7. სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციისათვის წარსადგენი ხელმოწერის ნიმუში, აგრეთვე თანდართული დოკუმენტები ან მათი ასლები მოითხოვს ნოტარიულ დამოწმებას (დადასტურებას).

მუხლი 5<sup>1</sup>. ინდივიდუალური საწარმოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის წესი და პირობები

5<sup>1</sup>.1. ინდივიდუალური საწარმოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციისათვის ინდივიდუალური მეწარმე ან საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი დაზღვეული წერილით რეგისტრაციაზე უფლებამოსილ საგადასახადო ორგანოში გზავნის ან უშუალოდ წარადგენს განცხადებას 2 ეგზემპლარად.

5<sup>1</sup>.2. განცხადების შესავსებად პირს უფლება აქვს გამოიყენოს საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული განცხადების ფორმა ან მისი ასლი. ნებისმიერ პირს უფლება აქვს საგადასახადო ორგანოში დაუბრკოლებლად მიიღოს განცხადების ფორმა, აგრეთვე თავისუფლად და უნებართვოდ გადაიღოს მისი ასლი.

5<sup>1</sup>.3. განცხადების ორივე ეგზემპლარი უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

5<sup>1</sup>.4. შევსებული განცხადების ფორმა უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) საფირმო სახელწოდებას;

ბ) ინდივიდუალური მეწარმის სახელს, გვარს, საცხოვრებელ ადგილს და პირადობის მოწმობის (პასპორტის) ნომერს, პირად ნომერს;

გ) ინდივიდუალური მეწარმის ხელმოწერას.

5<sup>1</sup>.5. რეგისტრაციაზე უფლებამოსილი საგადასახადო ორგანო ვალდებულია ინდივიდუალური საწარმო სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციაში გააგაროს

განცხადების წარდგენიდან 1 სამუშაო დღის ვადაში. დაუშვებელია ამ მუხლით გათვალისწინებული გარდა რაიმე სხვა ლოკუმენტის ან ინფორმაციის მოთხოვნა. თუ ამ ვადაში განმცხადებელს წერილობით არ ეცნობება მოგივირებული უარის შესახებ, ინდივიდუალური საწარმო რეგისტრირებულად ჩაითვლება. საგადასახლო ორგანო ვალდებულია რეგისტრირებულ ინდივიდუალურ საწარმოს მინიჭოს საიდენტიფიკაციო ნომერი და დაუყოვნებლივ გასცეს შესაბამისი სახელმწიფო და საგადასახლო რეგისტრაციის მოწმობა.

5<sup>1</sup>.6. ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციაზე უარის თქმა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- ა) განცხადება არ არის წარდგენილი 2 ეგზემპლარად;
- ბ) განცხადების თითოეული ეგზემპლარი არ არის დამოწმებული სანოტარო წესით.

5<sup>1</sup>.7. სამეწარმეო რეესტრში შეიგანება ამ მუხლის 5<sup>1</sup>.4 პუნქტის „ა“ – „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემები.

5<sup>1</sup>.8. ინდივიდუალური საწარმოს სამეწარმეო რეესტრის ფორმულარი მოცემულია ამ კანონის დანართში.

5<sup>1</sup>.9. ინდივიდუალური საწარმოს სახელმწიფო და საგადასახლო რეგისტრაციისათვის არ გადაიხდებიან სახელმწიფო ბაჟი, მოსაკრებელი ან სხვა რაიმე გადასახდელი.

მუხლი 5<sup>2</sup>. სახელმწიფო და საგადასახლო რეგისტრაციის ვადა

5<sup>2</sup>.1. რეგისტრაციაზე უფლებამოსილი საგადასახლო ორგანო ვალდებულია საწარმო (ინდივიდუალური საწარმოს გარდა) სახელმწიფო და საგადასახლო რეგისტრაციაში გააგაროს განცხადების წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

5<sup>2</sup>.2. თუ 3 სამუშაო დღის ვადაში სახელმწიფო და საგადასახლო რეგისტრაცია არ განხორციელდება ან განმცხადებელს წერილობით არ ეცნობება ხარვეზის ან მოგივირებული უარის შესახებ, საწარმო რეგისტრირებულად ჩაითვლება. რეგისტრაციაზე უფლებამოსილი საგადასახლო ორგანო ვალდებულია განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ გასცეს სახელმწიფო და საგადასახლო რეგისტრაციის მოწმობა.

5<sup>2</sup>.3. ინდივიდუალური საწარმოს სახელმწიფო და საგადასახლო რეგისტრაციის ვადა განისაზღვრება ამ კანონის მე-5 მუხლის 5<sup>1</sup>.5 პუნქტით.

მუხლი 5<sup>3</sup>. სახელმწიფო და საგადასახლო რეგისტრაციის წესი

5<sup>3</sup>.1. საწარმოს (ინდივიდუალური საწარმოს გარდა) სახელმწიფო და საგადასახლო რეგისტრაცია ხორციელდება საგადასახლო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ სამეწარმეო რეესტრში სათანადო მონაცემების შეგნით, გადასახადის გადახდელის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებით და სახელმწიფო და საგადასახლო რეგისტრაციის მოწმობის გაცემით.

5<sup>3</sup>.2. ინდივიდუალური საწარმოს სახელმწიფო და საგადასახლო რეგისტრაციის წესი განისაზღვრება ამ კანონის 5<sup>1</sup> მუხლით.

მუხლი 5<sup>4</sup>. უარი საწარმოს სახელმწიფო და საგადასახლო რეგისტრაციაზე

5<sup>4</sup>.1. საწარმოს (ინდივიდუალური საწარმოს გარდა) სახელმწიფო და საგადასახლო რეგისტრაციაზე უარი შეიძლება ეთქვას, თუ:

- ა) განცხადება საწარმოს სახელმწიფო და საგადასახლო რეგისტრაციის თაობაზე არ შეიცავს ამ კანონის მე-5 მუხლის 5.3 პუნქტში მითითებულ მონაცემებს;
- ბ) განცხადება საწარმოს სახელმწიფო და საგადასახლო რეგისტრაციის თაობაზე წარმოდგენილია ხელმძღვანელობითი უფლებამოსილი პირის ხელმოწერების გარეშე;
- გ) არ არის წარმოდგენილი ხელმოწერის ის ნიმუშები, რომლებსაც საწარმოს წარმომადგენლები გამოიყენებენ საქმიან ურთიერთობებში;
- დ) სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ლოკუმენტები არ არის დამოწმებული სანოტარო წესით;
- ე) საწარმოს სახელმწიფო და საგადასახლო რეგისტრაციის თაობაზე განცხადებას არ ერთვის სამოგალოების წესდება;

ვ) არაფულადი შესაგანით საწარმოს დაფუძნებისას არ არის წარმოდგენილი შესაგანის დადგენილი წესით შეფასების დამადასტურებელი საბუთი;

მ) არ არის გადახდილი სარეგისტრაციო მოსაკრებელი;

თ) განმცხადებელმა საგადასახადო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ვადაში არ შეავსო ხარვეზი.

5<sup>4</sup>.2. კომანდიგურ სამოგალოებას სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციაზე უარი (ამ მუხლის 5<sup>4</sup>.1 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების გარდა) შეიძლება ეთქვას, თუ:

ა) საწარმოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის თაობაზე განცხადებაში არ არის მითითებული ყოველი კომანდიგის მიერ შესრულებული შესაგანის ოდენობა;

ბ) არ არის წარმოდგენილი ყოველი კომანდიგის მიერ შესრულებული შესაგანის დამადასტურებელი საბუთი.

5<sup>4</sup>.3. შეზღუდული პასუხისმგებლობის სამოგალოებას, სააქციო სამოგალოებასა და კოოპერატივს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციაზე უარი (ამ მუხლის 5<sup>4</sup>.1 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების გარდა) შეიძლება ეთქვას, თუ:

ა) მათ არ გააჩნიათ საწესდებო კაპიტალის კანონით დადგენილი ოდენობა;

ბ) არ არის წარმოდგენილი ყოველი პარტნიორის მიერ შესრულებული შესაგანის დამადასტურებელი საბუთი;

გ) არ არის განსაზღვრული ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის შესაგანის ოდენობა და შესაბამისი წილი;

დ) არ არის მითითებული ყოველი ღირექტორის ამ კანონით დადგენილი მონაცემები და არ არის წარმოდგენილი მათი დანიშვნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

5<sup>4</sup>.4. ინდივიდუალური საწარმოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები განისაზღვრება ამ კანონის 5<sup>1</sup> მუხლით.

5<sup>4</sup>.5. რეგისტრაციაზე უფლებამოსილი საგადასახადო ორგანოს უარი სახელმწიფო და საგადასახადო სარეგისტრაციო მოწმობის გაცემაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

5<sup>4</sup>.6. სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში განმცხადებელს უბრუნდება რეგისტრაციის მიზნით წარდგენილი დოკუმენტაცია.

მუხლი 5<sup>5</sup>. ხარვეზის შევსების ვადა

5<sup>5</sup>.1. თუ განცხადება არ შეესაბამება ამ კანონის მე-5 მუხლის 5.3 პუნქტის მოთხოვნებს ან/და არ ერთვის იმავე მუხლის 5.5 და 5.6 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტები, საგადასახადო ორგანო ამის შესახებ წერილობით აცნობებს განმცხადებელს და მისცემს მას 15-დღიან ვადას ხარვეზის შესავსებად. თუ ამ ვადაში განმცხადებელი შეავსებს ხარვეზს, საგადასახადო ორგანო ხარვეზის შევსებიდან 2 დღის განმავლობაში აგარებს საწარმოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციაში. ხარვეზის შევსებისათვის ამ პუნქტში აღნიშნული ვადის განმეორებით მიცემა დაუშვებელია. ასეთ შემთხვევაში განცხადების შეგანის ვადა აითვლება თავიდან.

5<sup>5</sup>.2. თუ სამოგალოების შექმნის მიზნით წარდგენილია არასწორი მონაცემები ან დაფუძნების ხარჯების გამო სამოგალოებას მარალი მიადგა, მაშინ პარტნიორები, ისევე როგორც სამოგალოების ღირექტორები, როგორც სოლიდარული მოვალეები, ვალდებული არიან გადაიხადონ შეუტანელი გადასახდელები, აანაზღაურონ დაფუძნების ხარჯების გადაუხდელობით გამოწვეული, აგრეთვე ამ დროს წარმოშობილი სხვა ზიანი.

მუხლი 5<sup>6</sup>. ცვლილებების და ლიკვიდაციის რეგისტრაცია

5<sup>6</sup>.1. ამ კანონით გათვალისწინებული რეგისტრაციისათვის სავალდებულო ფაქტების ყოველი ცვლილება საჭიროებს სამეწარმეო რეესტრში ცვლილებების შეგანას.

5<sup>6</sup>.2. ცვლილება ძალაში შედის მხოლოდ მისი სამეწარმეო რეესტრში შეგანის შემდეგ.

5<sup>6</sup>.3. პარტნიორების შეცვლა სააქციო სამოგალოებებში არ მოითხოვს რეგისტრაციას.

5<sup>6</sup>.4. ცვლილების რეგისტრაციის უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება ღირექტორს (ღირექტორებს).

5<sup>6</sup>.5. ლიკვიდაციის შემთხვევაში საგადასახადო ორგანო ვალდებულია განახორციელოს ამ კანონით და საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული მოქმედებანი, რის შემდეგ ამოშალოს საწარმო სამეწარმეო რეესტრიდან.

მუხლი 5<sup>7</sup>. სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის გაუქმება

5<sup>7</sup>.1. თუ საწარმო რეგისტრირებულია, მაგრამ იგი არ აკმაყოფილებს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის პირობებს, ან ეს პირობები მოგვიანებით ისპობა, მას ხარვეზების გამოსწორებისათვის ეძლევა 3 თვის ვადა. თუ ხარვეზები ამ ვადაში არ იქნება გამოსწორებული, რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს. ამისათვის საგადასახადო ორგანომ ან სამოგალოების ნებისმიერმა პარტნიორმა ხარვეზების გამოსასწორებლად დადგენილი 3-თვიანი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ უნდა მიმართოს სასამართლოს ლიკვიდაციის პროცესის დასაწყებად. სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია უქმდება მხოლოდ ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შემდეგ.

5<sup>7</sup>.2. სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის გაუქმებამდე შეცლომით რეგისტრირებული საწარმო ითვლება უშეცლომოდ რეგისტრირებულად.“.

2. მე-16 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რელაქციით:

„მუხლი 16. ფილიალები

16.1. საწარმოს შეუძლია დააარსოს ფილიალები, რომლებიც იურიდიულ პირებს არ წარმოადგენენ. ფილიალის შექმნის შესახებ ეცნობება საწარმოს ადგილსამყოფელის მიხედვით საგადასახადო ორგანოს, რომელიც რეგისტრაციისათვის საბუთებს უგზავნის ფილიალის ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულ საგადასახადო ორგანოს.

16.2. კანონით დადგენილი ხელმოწერები შესანახად უნდა გაკეთდეს ფილიალის მარეგისტრირებულ საგადასახადო ორგანოში. ფილიალის რეგისტრაციისას საგადასახადო ორგანოს უნდა წარედგინოს შემდეგი საბუთები:

ა) განცხადება ფილიალის რეგისტრაციის შესახებ;

ბ) ცნობა ფილიალის ადგილმდებარეობის შესახებ;

გ) საწარმოს მმართველობის ორგანოთა გადაწყვეტილება ფილიალის შექმნის შესახებ;

დ) გადაწყვეტილება ფილიალის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ ან მინდობილობა პირისათვის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე.

16.3. ფილიალის ადგილსამყოფელის მიხედვით საგადასახადო ორგანო, ფილიალის რეგისტრაციისათვის არსებული საბუთების საფუძველზე, 3 სამუშაო დღის განმავლობაში ახდენს ფილიალის რეგისტრაციას, ხოლო რეგისტრაციის ფაქტის თაობაზე აცნობებს საწარმოს მარეგისტრირებულ საგადასახადო ორგანოს.

16.4. უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ კორპორაციებს, კომპანიებს, ფირმებს და სხვა მსგავს წარმონაქმნებს (უცხოურ საწარმოებს) შეუძლიათ საქართველოში დააარსონ ფილიალები, რომლებიც არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს. უცხოური საწარმოს ფილიალის სახელმწიფო რეგისტრაციას ახორციელებს ფილიალის ადგილსამყოფელის მიხედვით არსებული საგადასახადო ორგანო. უცხოური საწარმოს ფილიალის რეგისტრაცია წარმოებს განცხადების მიღებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

16.5 უცხოური საწარმოს ფილიალის რეგისტრაციისათვის საგადასახადო ორგანოს უნდა წარედგინოს შემდეგი საბუთები:

ა) განცხადება ფილიალის რეგისტრაციის შესახებ;

ბ) ცნობა ფილიალის ადგილსამყოფელის შესახებ;

გ) უცხოური საწარმოს მმართველობის ორგანოთა გადაწყვეტილება საქართველოში ფილიალის (წარმომადგენლობის) გახსნის შესახებ, დამოწმებული ნოტარიულად;

დ) უცხოური საწარმოს (ლეგალიზებული) წესდების ასლი ან იმ ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესდების შემცველი დოკუმენტი, დამოწმებული ნოტარიულად;

ე) ამონაწერი უცხოური საწარმოს სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის დოკუმენტებიდან (რეესტრიდან), დამოწმებული ნოტარიულად;

ვ) გადაწყვეტილება ფილიალის (წარმომადგენლობის) ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ ან მინდობილობა პირისათვის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე, დამოწმებული ნოტარიულად.“.

3. კანონის II დანართის სარეგისტრაციო ბარათების (ნიმუშების) ფორმები სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებისათვის, კომანდიტური საზოგადოებისათვის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისათვის, სააქციო საზოგადოებისათვის და რეგისტრირებული კოოპერატივისათვის შეიცვალოს შემდეგი თანდართული სარეგისტრაციო ბარათების (ნიმუშების) ფორმებით.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი